F2750 № 13861

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!..

ბრძოლა

ორგანო თფილისის მეუმრაგლესეთა

№ 1

509

რედაქციიდან.

ამხანაგებო! ჩვენ მივმართეთ საოლქო კ-ს წინადადებით-დაებეჭდათ ჩვენი გაზეთი. მივიღეთ ასეთი პასუხი: მოგვეცით ორასი მანეთი ნომერში (სამ ენაზე), გვიყიდეთ 30 ფუთი შრიფტი, რაიც დაგვიჯდებოდა 600 მანეთამდე და ბოლოს ცენზურა უნდა უყოთ სტატიებს შეროორისა, მილიციისა, პარტიზანულ გამოსვლებისა, და ბევრ სხვა კითხვების შესახებ.

ასეთი პირობების მიღება ჩვენთვის ყოვლათ შეუძლებელი იყო, ამიტომ ს. კ.-ს პასუხი ჩვენ მიგვაჩნიათ გადაჭრილ უარის თქმათ.

თფილისი 1908.

დღევანდელი ვითარების კითხვები

კარგა ხანია რუსეთის რევოლიუცია დამცხრალია და ჩვენი ცხოვრება „სიწყნარეს“ განიცდის; ამიტომ დღეს სრულიათ ბუნებრივია, თუ ყოველი მოაზრე რევოლიუციონერი, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატი ღრმათ უფიქრდება ამ მოვლენას: ცდილობს ანგარიში გაუწიოს წარსულს და სათლათ გაირკვიოს მომავალი; განსაკუთრებით ეხლა - ამ არევ-დარევის დროში, როცა ჩვენში ასე გახშირებულია ღალატი, გულგრილობა, ლიმედობა, რევოლიუციისთვის ზურგის შექცევა და „ბრძოლის ველიდან“ სამარცხვინო-საზიზღარი უკუქცევა. საჭიროა კი, აუცილებლათ საჭირო, რომ უყოყმანოთ და შეუდრეკლათ ჩავხედოთ თვალში სინამდვილეს, ავსწონ-დავსწონოთ ის—გაუკეთოთ მას ანალიზი და იქედან გამოვიკვანოთ უტყუარი დასკვნები, თუნდაც ეს დასკვნები ჩვენს პარტიაში შავ დაშკვიდრებულ შეხედულებათ ეწინააღმდეგებოდეს. აი ასეთ გამორკვეულ დასკვნებზე უნდა დავაფუძვნოთ ჩვენი პარტიის დღევანდელი ტაქტიკა.

ცხადია, შეუძლებელია ამ სტატიას მიზნათ ჰქონდეს ყველა ამ დასკვნების და ტაქტიკის გამოკვლევა: ეს მთელი ჩვენი გაზეთის არსებობის მიზანია.

აქ ჩვენ შევეხებით მხოლოთ ზოგად, მარა ძირითად კითხვებს.

რეაქციონური მთავრობა და კადეტები, ოქტომბრისტები და მემარჯვენენი, ჟანდარმები და გენერალ-გუბერნატორები დღეს სიხარულის ნერწყვს ყლაპავენ და ქვეყანას გამარჯვებულის სახით აუწყებენ: რევოლიუცია ჩავაქრეთ, გავსრისეთ, გავანადგურეთო. მარა, საკვირველია, გამარჯვებულთ თითქოს კიდევ არა სწამთ თავიანთი გამარჯვება: ხშირათ დღესაც წამოცდება ხოლმე მათ აღმატებულებას, სახელმწიფოს რომელიმე ბურჯს სახიფათო სიტყვა, ხშირათ რომელიმე მინისტრიც იჩენს ხოლმე საზარ შიშს რევოლიუციის წინაშე: ყველაფრიდან სჩანს, რომ ჯერ კიდევ ვერაა დამყარებული მათთვის სანატრელი „მშვიდობა და სათნოება“.

მაშ ჩვენც ეჭვის თვალით შევხედოთ მათ ამ კარა და. მყვირალა განცხადებას, ჩავუკვირდეთ სინამდვილეს და ნათლათ წარმოვიდგინოთ ჩაქმის ნამდვილი მდგომარეობა

საზოგადოების ბურჟუაზიულ და შავრაზმულ ნაწილს ჰგონია, მთელი საშინელება „ბოროტ-გამზრახველ“ აგიტატორებისგან წარმოსდგება. საკმაოა, მათი აზრით, „გააქრონ“ ყველა ასეთი აგიტატორები, რომ რევოლიუციის ხსენებაც აღარ დარჩეს: მაშინ აღარ იქნება არც უკმაყოფილება, არც მღელვარება, არც აჯანყება. საქმე რო მართლა ასე წარმოვიდგინოთ, მაშინ რევოლიუციაზე ადვილი მოსასპობი რაღა იქნებოდა: სამუდამოთ დატოვებდენ სამხედრო წესებს, კიდევ უფრო გააძლიერებდენ რეპრესიებს და მოიკვენებდენ „არეულობას“ და „უწესოებას“ ბოლო მოეღებოდა. მარა განა ეს ასეა? განა საქმე ისე ადვილია, როგორც ეს რუსეთის „ბურჯებს“ წარმოუდგენიათ? ცხადია, არა!

ყოველ სერიოზულ სახალხო მოძრაობას აქვს თავისი ღრმა მიზეზები, ურომლისოთ ვერაკითარი აგიტატორები ვერ შესძლებდენ მის შექმნას. ეს კი ყველაზე უფრო რუსეთის თანამედროვე დიდ რევოლიუციაზე ითქმის.

საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ განვითარების პროცესში მცხოვრებთა ფართე მასსებს უჩნდებათ ახალი მოთხოვნილებანი და როცა ეს მოთხოვნილებანი ძლიერდებიან, მაშინ ისინი აშკარათ ეწინააღმდეგებიან დაკმაყოფილების უკვე არსებულ საშუალებებს; ეს გარემოება კი იწვევს მასის ძლიერ უკმაყოფილებას, რასაც ის გამოთქვამს ხოლმე რევოლიუციონური გამოსვლით. აი სწორეთ ეს მომწიფებული მოთხოვნილებანი შეადგენენ ობიექტიურ მიზეზს რევოლიუციისას. აი ამ დროს ვერავითარ შავ-ბნელ ძალებს არ ძალუძთ ბოლო მოუღონ რევოლიუციას; თუნდ ატუსაღონ და ჟლიტონ აგიტატორები, აძლიერონ და ავრცელონ სამხედრო წესები, შიშის ზარი დასცენ მცხოვრებთ, მოძრაობაში მოიყვანონ საველე სასამართლოები, აღმართონ ყველგან საღრჩობელები, საქმეს ამით მაინც ვერას უშველიან, ვინაიდან ფართე მასსების უკვე მომწიფებულ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილესლათ საზოგადოების წარმატება და განვითარება შეუძლებელია; ის შეჩერებულია და თუ ქვევით მსვლელობა არ მიეცა, საზოგადოება გადაშენების და ამოგდების გზას ადგება. აუცილებელი ხდება მოთხოვნილებათა ამა თუ იმ გზით, ასე თუ ისე ნაძდვალი დაკმაყოფილება.

რაში მდგომარეობს რუსეთის რევოლიუციის ობიექტიური მიზეზი? ასეთი მიზეზი ორია: აგრარული საკითხი და პოლიტიკური თავისუფლება. აი ამ კითხვების, ამ მოთხოვნილებების რამდენიმეთ მაინც დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული მთელი რუსეთის მომავალი ბედ-ილბალი.

და მერე გადაჭრილია ეს კითხვები? ცხადია, არა. შეუ-

ძლია გადაჭრას ის, დააკმაყოფილოს მთელი გლეხკაცობა და პროლეტარიატი რუსეთის დღვანდელმა მთავრობამ, ან სახელმწიფო დუმამ?

მთავრობამ ჯერ ისევ 1906 წლის ნოემბერში გამოსცა კანონთა 87 სტატიის ძალით დროებითი წესები, რომლებიც შეეხება გლეხთა მიწათ—მფლობელობის მოწესრიგებას. ამ წესების მიზანია ძალდატანებით დაარღვიოს და დაშალოს რუსული („ობშჩინა") „თემი", რაც ხელსაყრელია შეძლებულ გლეხებისათვის და გამანადგურებელია „გაჭირვებულ"დათვის"; მესამე დუმის საადგილ-მამულო კომისიამ მხოლოთ იმით შეასწორა მთავრობის განკარგულება, რომ ნება დართო ბლეხებს შეიძინონ მიწები მხოლოთ ისეთ „თემებში", სადაც 24 წლის განმავლობაში გლეხთა შორის მიწების დაყოფა არ მომხდარა. მიმდინარე წელს, 13 თებერვალს კი მეფემ გლეხთა ღეპუტაციას გამოუცხადა, რომ მებატონეთაგან მიწების ძალით ჩამორთმევაზე ფასითაც კი ტყუილა ნუ ოცნებობთ: მე არასოდეს არ დაამტკიცებ ასეთ კანონსო. აქედან მთავრობის პოლიტიკა ცხადია: მას, რათაც უნდა დაუჯდეს, მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს შეინახოს რუსეთში მსხვილი „პომეშჩიკური" მიწათმფლობელობა, დაიცვას მსხვილ პომეშჩიკ-მემამულეთა ინტერესები და მშიერ გლეხებს კი მხოლოთ ტყვიით გაუმასპინძლდეს.

მარა გლეხ-კაცობას მარტო რეპრესიებით როდი ანუგეშებდენ: მათ ისე უჩვენებენ თავს, ვითომ მათთვისაც დიდათ ზრუნავენ, ვითომ მათთვისაც დიდი რეფორმები აქვთ დამზადებული—მიწის მოშწესრიგებელ კომისიებს უარსებენ. როგორია ამ კომისიების მოქმედება? აი ცნობები: „მიწის „ბიუროკრატიულ-პომეშჩიკურ" მომწესრიგებელ კომისიების გამოკვლევით რუსეთის გლეხკაცობას აუცილებლათ ჭირდება 51 მილიონი დესეტინა ($2^1/_2$ ქცევა, ე. ი. ას მილიონ ქცევაზე მეტი) მიწა. მთავრობას დღემდე შეძენილი აქვს ამ მიზნისთვის „მიწის ფონდი" მხოლოთ 13 მილიონი დესეტინა; რომელიც შეადგენს მხოლოთ მეოთხედ ნაწილს იმისას, რაც ნამდვილად საჭიროა. ამ 13 მილიონიდანაც გაყიდულია გლეხებზე დღემდე ძლივს ერთი მეორმოცედი ნაწილი, დანარჩენს კი ან იჯარით აძლევენ, ან და თვითონ სახელმწიფო ბანკი აწარმოებს; ამასთან ბანკის მიწებს გლეხები იჯარით ნაკლებათ იღებენ, ხოლო თავის საკუთარი წარმოებიდან ბანკს საშუალოთ იმაზე გაცილებით ნაკლები შემოსავალი აქვს, რასაც ის თვითონ იხდის „ფასიან ქაღალდებში". ამას გარდა მი-

წების მომწესრიგებელ კომისიას, როგორც ბიუროკრატიის ღვიძლ შვილს, საქმე კუს ნაბიჯით მიჰყავს. ცნობილ „ჩამონაჭრებს“ (საბატონო მიწებს) შეუმოწმებლათ და შეუფარდებლათ ანაწილებენ ადგილობრივ გლეხთა შორის თავიანთ კანცელარიებში ქარტის, სახაზავის და კარანდაშის შემწეობით. ამას შედეგათ ის მოსდევს, რომ ბევრგან გლეხებს დასასახლებლათ უტყეო და უწყლო ადგილი ხვდებათ, და რა საკვირველია, თუ ასეთ მიწებს არავინ ყიდულობს; თუ შეცდა და იყიდა—ეს კიდევ შემდეგში მთავრობისადმი მეტ უკმაყოფილებასაც გამოიწვევს. საზოგადოთ კი მიწას ყიდულობს შეძლებული ელემენტი და ამნაირათ მთავრობის მიერ შედგენილი მიწის ფონდი უმთავრესათ გადადის თითო-ოროლა მდიდარ და შეძლებულ გლეხის ხელში, უმიწაწყლონი და „გაჭივრებულნი“ კი ისევ უმიწოთ რჩებიან. მაგალითად, დღემდე გაყიდულ მიწებიდან უკვე მეხუთედი ნაწილი შეუძენიათ შეძლებულებს“. (სოც. დ. № 1) აქედან ცხადია, რომ რუსეთის გლეხკაცობის დაკმაყოფილება ზემო აწერილ პროგრამით ყოვლათ შეუძლებელია. მესამე დუმა რაღას აკეთებს? ის კვალდა-კვალ მისდევს მთავრობას: თვით თავიდან ბოლომდე პომეშჩიკური სულით გაჟღენთილი, პომეშჩიკურ პოლიტიკას აწარმოებს.

ამნაირათ ეს მთავარი ძარღვი რუსეთის რევოლიუციისა—აგრარული საკითხი—შეუძლებელია გადიჭრას მშვიდობიანი გზით. უმახლობელესი და პირდაპირი გზა—ეს რევოლიუციონური გზაა, გზა მთავრობის ძალებთან შეუპოვარი ბრძოლის, გზა ბიუროკრატიულ—პომეშჩიკურ მთავრობის ძირს ჩამოგდების, დამხობის. აი ეს გზა, მხოლოთ და მარტო ეს გზა იხსნის რუსეთის მრავალ მილიონ „გაჭივრებულ გლეხკაცობას“ შიმშილით და სტოლიპინის ტყვიით სიკვდილისა და გადაშენებისაგან

როგორ ვითარებაშია რუსეთის რევოლიუციის ძეორე ობიექტიური მიზეზი—პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნილება? თუმცა მთავრობამ ჯერ კიდევ 1906 წ. 4 მარტს გამოსცა დროებითი წესები, რომლის ძალით ვითომ სხვა და სხვა თავისუფლება (კავშირის, კრების და სხვ). უნდა დაემყარებია სახელმწიფოში, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ეს მისთვის აუტანელია; მან უმალვე გათელა ფეხქვეშ თავისივე კანონები, არავითარი ყურადღება არ მიაქცია მას. სტოლიპინმა ჯერ ისევ მეორე დუმაში წარმოსთქვა „ხელი-ხელ საგოგმანო“ ფრაზა: „როცა სახლი იწვის, შუშებს არ ზოგვენო“ დიახ,

მთავრობამ სტოლიპინის პირით უსირცხვილოთ გვაუწყა, რომ ეგი კანონებს არ მიხედავს, არ შეასრულებს, როცა კი ამას მისი ინტერესი მოითხოვს და კიდეც ასრულებს მტკიცეთ თვის დაპირებას: ანადგურებს პროფ. კავშირებს, გაასკეცებული ენერგიით იბრძვის, თუ კი სადმე მუშათა ან გლეხთა მოძრაობა შეამჩნია; კრების ხსენებას და მოლაყბე ლიბერალების სიტყვებსაც არ ითმენს, ბეჭდვითი სიტყვას და პრესას საკუთარი ხელით ახრჩობს და ამ სახით მთელ ლეგალურ რუსეთში სამარისებური სიჩუმეს, მყუდროებას ამეფებს. მესამე დუმა რაღას აკეთებს?

ის აქაც განუყრელი თანაშემწეა მთავრობის. მაგალითად, ამას წინათ დუმის ს. დ. ფრაქციამ მოინდომა პროფ. კავშირების მთავრობის მიერ განადგურების თაობაზე შეკითხვის შეტანა, მარა დუმის კომისიამ უმალვე უარყო ის. დუმის უმრავლესობას რეაქციონურ გზაზე კიდევ ამაზე მეტი მოღვაწეობა მიუძღვის; საკმაოა გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება — შეხედულება მთავრობის იმ არა დემოკრატიულ პროექტზე, რომელიც ადგილობრივ თვითმართველობას შეეხება, რომ საბოლოოთ დავრწმუნდეთ მესამე დუმის რეაქციონურ ხასიათში.

ერა, შეუძლებელია თვით უმცირესი პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებაც-კი ისე, თუ ფართე მასსა თვით არ გამოვიდა რევოლიუციონურ გზაზე, თუ თვით ხალხმა არ გაუმართა გადამწყვეტი ომი რუსეთის მთავრობას და სახელმწიფო დუმას.

და მართლაც იმ დროს, როცა საზოგადოების მაღალწრეებში გამეფებულია „მკვდრული სიჩუმე“, წინანდელი რწმენა-შეხედულების უარყოფა, საზიზღარი სიმხდალე, შიში და ზნეობრივი გათახსიერება, გარყვნილება, ძირს კი, ხალხის მოწინავე ნაწილში, მუშათა შორის გროვდება ძალა, ღვივდება უკმაყოფილება, იფურჩქნება იმედი და ამნაირათ მზადდება მომავალი სამკვდრო სასიცოცხლო შეტაკება კონტრ-რევოლიუციის ძალებთან. ჩვეულებრივ ის აზრია გავრცელებული, თითქოს მუშებმა უარყვეს „რევოლიუციონური ილიუზიები,“ დაკარგეს იმედი, თითქოს ისინი სულ-ით დაეცენ, ზურგი შეაქციეს რევოლიუციას და ლეგალურ ორგანიზაციებს ეკედლებიან, თითქოს პარტიული ორგანიზაციები სულ ერთიანათ დაიშალენ. მარა თუ ჩვენ კარგან ჩაუკვირდებით იმ ცნობებს, რომელიც რუსეთის ყველა კუთხიდან გვესმის, სულ სხვა დასკვნას გამოვიყვანთ: დროებით, შესუსტების შემდეგ პარტიული ორგანიზაციები ისევ ფეხზე დგებიან, ისევ ახლდებიან, ძლიერდებიან: ძლიერდება აგრეთვე სოციალდემოკრატიული გავ-

ლენა მუშათა მასსაზე, რის გამოც მხნევდება ის, იწყებს ბრძოლას. აქედან ცხადია, რომ ჩვენ აუცილებლათ უნდა მოველოდეთ სალხის ხელ-ახალ ადგომას; ხელ-ახალ რევოლიუციონურ აზვირთებას.

რას ფიქრობს დღეს გლეხ-კაცობა? იქნებ ის უკვე შეუერიგდა ბედს, აღარ ფიქრობს თავის მდგომარეობაზე, დაივიწყა თავისი მოთხოვნები?

რა თქმა უნდა, არა! დღეს რუსეთში ყველა აღიარებს, რომ, რაც დრო გადის, გლეხკაცობა სულ უფრო და-უფრო იხრება მარცხნით. აი თვით რეაქციონურ მესამე დუმის გლეხთა ჯგუფის განცხადებაც: „1) ჩვენ მთელი რუსეთის გლეხკაცობის წარმომადგენელთ, გვსურთ მოვაგონოთ სახელმწიფო დუმას და მთავრობას, რომ ჩვენი დუმაში მოსვლის მიზანია-მიწის საკითხის გადაწყვეტა, 2) ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ამ კითხვის შესახებ გლეხ-დეპუტატებ შორის არავითარი უთანხმოება არ არსებობს; ჩვენ პირველ და მეორე დუმაში ყველა ერთხმათ ვაცხადებდით და მესამე დუმაშიაც იმასვე ვაცხადებთ, რომ საჭიროა გლეხთა მოთხოვნილება მიწებზე აუცილებლათ დაკმაყოფილდეს; 3) გლეხთა თემიდან გამოსვლა იმ სახით, როგორც ეს 9 ნოემბრის კანონით არის ნაჩვენები, სასურველი არაა. თვითონ გლეხებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ როგორი მიწათ—სარგებლობა ან მეურნეობა—თემური თუ კერძო—ოჯახური—არის მათთვის უფრო ხელსაყრელი“.

აქედან ცხადია, რომ გლეხთა კითხვის ძირითადი გადაჭრა არ ძალ-უძს არც დუმას, არც მთავრობას; გლეხკაცობის დაკმაყოფილება მხოლოთ და მხოლოთ რევოლიუციას შეუძლია. მაგ ასე, აშკარაა, რევოლიუცია არ დასრულებულა, ის ცოცხლობს: აგროვებს ძალას, იკრებს ენერგიას. მთავრობა ამას გრძნობს და ის სულ უფრო და უფრო აძლიერებს თავის რეპრესიებს. როგორია რევოლიუციის მომავალი და რა დანიშნულება-მოვალეობა, რა მისსია აწევს კისრათ დღევანდელ ვითარებაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას? ამაზე გაზეთის შემდეგ ნომერში.

—

მინისტრები სიმართლესაც ამბობენ!

სახელმწიფო დუმა მოვლენილია იმ აზრით, რომ შეაჩეროს ხალხის რევოლიუციონური მოძრაობა, შექმნას ილიუზია, ვითომ არსებობს წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომლის საშუალებით შესაძლებელია კანონებისა და რეფორმების გამოცემა-განხორციელება და ვითომ საჭირო აღარ იყოს რე-

ვოლიუციონური ბრძოლა. ასევე ილიუზიების განმტკიცებაში განსაკუთრებით დაინტერესებულია მთავრობა და რევოლიუციის მტრები. რომლებიც მუდამ დაბეჯითებით ემსახურებიან ამ ყალბი აზრების გავრცელებას. მაგრამ ჭეშმარიტების დაფარვას ყოველთვის ვერ ახერხებენ და ხან ერთს და ხან მეორე მინისტრს სინამდვილე წამოცდება. აი მაგალითებიც. ამას წინაო სახელმწიფო დუმაში არკვევდენ საკითხს, თუ როგორ უნდა შედგენილიყო დუმის კომისია, რომელსაც უნდა გამოეძიებია საქმეთა მდგომარეობა რკინის გზებზე. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა: ასეთი ამბები იქ ხდება, ამბობს მინისტრი, სადაც პარლამენტია, რუსეთში კი ღვთის მადლით არ გვაქვს იგი. კოკოვცევი ერთი გავლენიანი მინისტრთაგანია. იმან გამოსთქვა მთავრობის დაფარული აზრი. ვისაც კი ნამდვილი საქმეთა მდგომარეობა აინტერესებს, სიამოვნებით უნდა მიგებებოდა ამ ინსტრის ასეთ განცხადებას. ასე მოიქცა კიდევაც დუმის სოც. დ ფრაქცია. ამხ. გეგეჭკორი აცხადებს. ჩვენ სიხარულით ვეგებებით ფინანსთა მინისტრის სიტყვებს, ეს განცხადება მაინც გაჰფანტავს გაუსწორებელ კონსტიტუციონალისტთა ილიუზიებსო. მაგრამ დუმა ბატონ ჩრის გეგეჭკორს და თავმჯდომარე ტრიბუნიდან ითხოვს მას. დუმაში იმართება ლიბერალური ვაკხანალია: ყველა ლიბერალები (კადეტები, ოქტომბრისტები) ერთი მეორეს ეცილებიან, რომ მინისტრის სიტყვები, როგორმე ჩააფუჩეჩონ.

ჩვენი მთავრობა ხშირათ აცხადებს ევროპის წინაშე, რომ რუსეთში რევოლიუცია გათავდაო. მაგრამ აშკარათ სტყუიან: შინაგან საქმეთა სამინისტრო შეეკითხა ამას წინეთ გენერალ-გუბერნატორებს სამხედრო და გაძლიერებული წესების გაუქმების შესახებ და ყველასაგან უარი მიიღო. აი რას აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი მაკაროვი სახელმწიფო დუმაში: „როცა ჩვენ ვლაპარაკობთ შეიქლება თუ აია ნორმალურ წესებზე გადასვლა, ჩვენ უნდა ავსწონ-დაავსწონოთ ყველა ის ცნობები, რომელნიც ჩვენ ხელთა გვაქვს და სახელგადოებამ არ იცის, ჩვენ გვაქვს სხვა ბევრი ცნობები, რომელნიც მოწმობს, რომ სამწუხაროთ, მშვიდობიანი დრო კიდევ არ დამდგარა; თუ მივიღებთ, რომ რევოლიუციის ჭარიშხალი მიწყნარებას იწყებს, იმას მაინც უნდა ვხედავდეთ, რომ რევოლიუციის ტალღები ჯერ კიდევ ძალლა სდგას. სამწუხაროთ არ შეგვიძლია ვსთქვათ თქვენს წინაშე, რევოლიუცია ჩამქრალია".

ასეთია მინისტრის განცხადება. რუსეთში აო აია კონსტიტუცია, არამედ რევოლიუცია, საჭიროა, ზოგიერთა პოლიტიკურმა ბალღებმა ყურად იღოს ეს სიტყვები.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ათი წლის თავი

(1898—1908)

მთავრობასთან ბრძოლაში დალია სული „ნაროდნაია ვოლია"-ს პარტიამ შეთქმულობამ და ტერორმა ვერ შესძლო რუსეთის თვითპყრობელობის მოსპობა. რევოლიუციონერთა წრეებში დაიწყეს ახალი მზისა და საშუალების ძებნა. და აი, ამ დროს არსდება მარქსისტთა ჯგუფი „შრომის განთავისუფლება. ახლათ დაარსებულმა ჯგუფმა აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლის ახალი მეტოდი, 'რომ რუსეთში არსებობს კლასი-პროლეტარიატი რომელიც თავის თავზე მიიღებს რევოლიუციის საქმეს. მიუხედავათ ნაროდოვოლცების ყვირილისა, რევოლიუციას ღალატობენო, ჯგუფი „შრომის განთავისუფლება" მაინც ამბობდა და ამტკიცებდა, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთში გაიმარჯვებს, როგორც მუშათა მოძთაობა, ან სრულიათ არ გაიმარჯვებსო. რუსეთის „სოციალისტური ინტელიგენცია" უნდობლათ ისმენდა ამ სიტყვებს; მაგრამ სამაგიეროთ გასული საუკუნის მე 90 წლების დაწყებიდან ვატაცებით და ყურადღებით უსმენენ მათ მუშათა კლასის უფრო შეგნებული პირები. დიაღ ამათი შრომა უნაყოფოთ არ ჩაიარა, 96 წელში პირველათ იჩინა თავი პროლეტარიატის ფართო მოძრაობამ იფეთქა პეტერბურგის შესანიშნავმა გაფიცვებმა, და თვითმპყრობელობა, რომელიც უძლებდა „ნაროდოვოლცების" ყუმბარებსა და ხანჯლებს, აი, ეს ამაყი თვითმპყრობელობა იძულებული გახდა დათმობის გზას დადგომოდა. პროლეტირიატი აქცევს ყურადღებას: ბურჟუაზიული ინტელიგენცია ებღაუჭება ძარქსიზმს იმ აზრით, რომ თავის გავლენის ქვეშ დააყენოს მუშათა მოძრაობა ჩნდებიან ეგრეთ წოდებული ლეგალური მარქსისტები, რომელნიც ცდილობენ ძარქსიზმის რევოლიუციონური სულის კლასთა ბრძოლის გადაფუჩეჩებას, უარის ყოფას ღღევანდელი ლიდერები კადეტებისა იმ დროს თავს მარქსისტათ აცხადებენ. ჩვენი ამხანაგები ერთი მხრით საბრძოლობდენ ლეგალური მარქსიზმით და იმავითან ერთათ თანამშრომლობდენ ეურნალ გაზეთებში მარქსისტულ იდეების გასავრცელებლათ, ხოლო მეორე მხრით სასტიკათ აკრიტიკებდენ ლეგალურ ძარქსისტებს და ააშკარავებდენ იმათ წინააღმდეგობას და სიყალბეს. მარქსიზმის შესწავლა მოდათ გადაიქცა ახალ გაზრდობა მიდის მუშებში და შეაქვს იმათში შეგნება. ასეთ პირობებში იწვევენ 1898 წელს რუსეთის სო-

ციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის პირველ სიეზდს. ამ სიეზდზე წარმომადგენელი ყავდა მხოლოთ ექვს უფრო დიდ ორგანიზაციას—მოსკოვს, პეტერბურგს, ეკატერინოსლავს, კიევს, ჩრ. დასავლეთის მხარეს და ბუნდს. მაგრამ, როგორც კი მუშებამდე მივიდა ცნობა პარტიის დაარსების შესახებ, მას ზედიზედ შეუერთდენ ორგანიზაციებიც.

მაგრამ პირობები ჯერ კიდევ არ უწყობდა ხელს პარტიის არსებობას. „ცენტრი“ პოლიციას ჩაუვარდა ხელში. ორგანიზაციები ისევ დაშორდენ ერთმანეთს. ერთათ ერთი შემაერთებელი რგოლათ დარჩა სათაური. „რ. ს. დ. მ. პ.“ პირველ ხანებში ისე საგრძნობელი არ ყოდილა ცენტრის უქონლობა: მუშაობა შედარებით მარტივი იყო. მაგრამ მუშათა მოძრაობა ზღაპრულ გმირივით სწრაფათ იზრდება. იბადება ახალი კითხვები, მუშაობა რთულდება. დაისვა საკითხი, როგორ და პირობებში ვებრძოლოთ თვითმპყრობელობას. მუშათა კლასს გაუჩნდა უზარმაზარი საქმე—თვითმპყრობელობის მოსპობა. მაგრამ რა გზით?

ლეგალური მარქსისტები და იმათი ამყოლი „ეკონომისტები“ ამტკიცებდენ, რომ საკმარისია გაფიცვა მუშებისა. რუსეთის პოლიტიკური განახლება ეკონომიური გაფიცვებით მოხდებაო“. თვით ბიუროკრატიაც-კი დაინტერესდა მუშებით აწყობს მათ შორის ზუბატოვის ორგანიზაციებს და ჰპირდება ეკონომიური ბრძოლის თავისუფლებას, იმ პირობით, თუ პოლიტიკურ ბრძოლაზე უარს იტყვიან. მხოლოთ ერთათ-ერთი რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია უთითებდა ეკონომიურ და პოლიტიკური ბრძოლის მჭიდრო კავშირზე. მხოლოთ ის ამტკიცებდა, რომ ძლიერი და ნაყოფიერი ეკონომიური ბრძოლა მუშათა კლასისა შესაძლებელია პოლიტიკური წესწყობილების სრული დემოკრატიზაციის შემდეგ და მუშათა კლასი თავისი ეკონომიური მდგომარეობით იძულებულია იბრძოლოს პოლიტიკური თავისუფლებისათვის. საჭირო იყო შექმნილიყო პარტია რევოლეუციონური სოციალ-დემოკრატიისა. ეს საქმე იკისრა გაზ, „ისკრამ“. მას გაერთიანება უნდა მოეხდინა პირველათ იდეურ ნიადაგზე. ისკრა არ ფიქრობდა ფართო და მასთან აჭრელებულ პარტიაზე. აი, რას ამბობს იგი: „ჩვენთვის საჭიროა შეერთება, მაგრამ სანამ შეეერთდებოდეთ და სწორეთ იმიტომ, რომ შეეერთდეთ, საჭიროა ჩვენივე წრის შემოფარგვლა“. ის მტიცეთ საზღვრავს პროლეტარული ბრძოლის მოტივებსა და მეტოდებს წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ბრძოლისაგან;

.მან შეიმუშავა ჩვენი რევოლიუციონური პროგრამა და ტაქტიკა; ის შეუბრალებლათ თავს ესხმის თავის პრინციპიალურ მოპირდაპირეებს და აიძულებს გაშორდეს რ. ს. მ. პ.-ს. „ისკრის“ პოლემიკის გავლენით „ლეგალური მარქსისტები გადადიან ლიბერალურ მემამულეთა ორგანოში „ოსვობოჟდენიაში“, ხოლო წვრილი ბურჟუაზია თავს იყრის ნაროდნიკული რევოლიუციონიზმის (ესერები) დროშის ქვეშ.

ამ ნაირათ „ისკრი“ ხდება ცენტრათ, რომლის საჭიროებას ყველანი გრძნობენ მუშათა მოძრაობის გაძლიერებისა გამო. მართალია, ეს ცენტრი არჩეული არ იყო, მაგრამ ცალკ-ცალკე ორგანიზაციები ზედი-ზედ აცხადებენ თავის თავს „ისკრის“ მომხრეთ. ცხადია, მარტო „ისკრის“ მიმართულებით არ შეიძლება აიხსნას მისი ასეთი გამარჯვება. თვით ცხოვრებამ შეუწყო მას ხელი. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ეკონომიური გაუმჯობესობანი არ ნიშნავს მტკიცე ვამარჯვებას, პოლიტიკური თავისუფლების უმისოთ. ის ყოველ წუთს უნდა მოელოდეს გაქრობას. საკმარისი იყო, დაეწყო კრიზისს რუსეთში მე-90 წლების ბოლოში და მე-900 წლების დასაწყისში, რომ ხინგრძლივის ბრძოლით მოპოებული გაუმჯობესობანი ისევ გამქრალიყო. მთავრობა ერევა ეკონომურ ბრძოლაში ხაზეინების სასარგებლოთ და ამით ის აჩქარებს თავისივე თავის დაღუპვას. მუშათა ფართო მაასსა თვითონ გრძნობს პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებას. 901 წელს მუშები ღებულობენ მხურვალე მონაწილეობას სტუდენტების აკადემიურ ბრძოლაში. მონაწილეობენ ქუჩის დემონსტრაციებში და აძლევენ მას წმინდა პოლიტიკურ ხასიათს. მუშათა მასსა ამ დროს იმ ყოფება ს. დემოკრატიის იდეიურ გავლენის ქვეშ, მაგრამ ორგანიზაციულათ კი ისინი თავის-თავათ მოქმედებენ. ყველანი გრძნობდენ შეერთების საჭიროებას. ასეთ პირობებში 1903 წელს ზაფხულში ხდება პარტიის მეორე სიეზდი. აქ ღებულობენ „ისკრის“ რედაქციის მიერ შემუშავებულ პროგრამას. მაგრამ სიეზდმა ვერ გადასწყვიტა ორგანიზაციული კითხვა — ვერ შექმნა ერთი პარტიული ცენტრი. ჯერ კიდევ შეერთება არ მოესწრო პასტიას, რომ მან გაყოფა დაიწყო. ჯერ კიდევ ძლიერი აღმოჩნდა პარტიაში წინანდელი ეკონომიზმისა და და „კუსტარნიკობისადმი“ მიდრეკილება. შეუძლებელი დარჩა იმის შერიგება რევოლიუციონურ სოც.-დემოკრატიასთან — უმრავლესობასთან. ორგანიზაციული განხეთქილება აღიარებულ იქმნა მესამე პარტიული სიეზდის დროს, რომელსაც

უმცირესობა არ დაესწრო და გამართა მენშევიკური სრულიათ რუსეთის კონფერენცია.

ანგარიში ამიერ კავკასიის ს. დ. ორგანიზაციათა მეხუთე სიეზდისა.*)

ამხანაგებო! ეს ანგარიში ძალიან დაგვიანებულია, მარა ვბეჭდავთ იმ მოსაზრებით, რომ პარტიულ მასსას მივცეთ საშვალება, მოკლეთ მაინც გაეცნოს ამ საინტეროსო სიეზდის ავლა დიდებას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამ მასსას არ მოუსმენია ცოტათ თუ ბევრათ ნადვილი ანგარიში ,ამ სიეზდისა. სიეზდს დაესწრო გადამწყვეტის ხმით 12-15 დელეგატი. ფრაქციული შედგენილობა სიეზდისა იყო თითქმის სრულიათ მენშევიკური, მხოლოთ თფილისიდან დაესწრო გადამწყვეტი ხმით ერთი დელეგატი ბოლშევიკი. ბაქოს ბოლშევიკურ ორგანიზაციას თავისი სამი წარმომადგენელი არ გამოუგზავნია. სიეზდმა განიხილა შემდეგი კითხვები: 1) საოლქო კომიტეტის ანგარიში; 2) პარტიული მუშაობა; 3) პროფესიონალური კავშირები; 4) ახსნა-განმარტება ლონდონის რეზოლიუციისა, პარტიზანულ გამოსვლების შესახებ და სხ.

პარტიული მუშაობა. ამ კითხვის შესახებ მოხსენება წაიკითხა ცეკისტმა, კავკასიის მესშევიკების ლიდერმა. მან თავის სიტყვაში შეეცადა დღევანდვლ მომენტის გარკვევას-და აქედან სათანადო პარტიული ტაქტიკის დასკვნა--დასაბუთებას. მისი სიტყვის შინაარსი დაახლოვებით შემდეგი იყო: რუსეთის რევოლიუციამ განიცადა ორი პერიოდი: პერიოდი რევოლიუციონური გამოსვლების და პერიოდი რეაქციის გაბატონების. სანამ რევოლიუცია ბობოქრობდა, მას სათავეში ედგა პროლეტარიატი და მისი პარტია—ს--დ, ამ პერიოდში პროლეტარიატი იყო გეგემონი (მეთაური) რევოლიუციის; მისი დროშის და ხელმძღვანელობის ქვეშ იბრძოდენ სხვა რევოლიუციონური კლასები. მაშინ ხალხი დიდი ნდობით და სასოებით შეჰყურებდა ს.-დ. პარტიას, რომელშიაც ჰხედავდა საუკეთესო მებრძოლს სახალხო ინტერესებისათვის. ბურჟუაზიულ კლასებს და მათ პარტიებს მაშინ არ შეეძლოთ ასეთი როლი ეკისრათ თავის თავზე, ისინი ამისთვის ჯერ კიდევ არ იყვენ მომწიფებული. მეორე პერიოდში, როცა რევოლიუცია და-

*) ადგილის უქონლობის გამო რედაქცია იძულებული იყო შეემოკლებინა ეს წერილი და ბევრი საგულისხმო საკითხი, მაგ. საოლქო კ-ის დიდათ საინტერესო ანგარიში და სხვ. სრულიად გამოეტოვებინა.

მარცხდა და რეაქცია გაბატონდა, ხალხის ბურჟუაზიული ნაწილი თანდათან ჩამოეცალა ს. დ. პარტიას, დარწმუნდა—რა პროლეტარული პროგრამის და ტაქტიკის ვითომდა უვარგისობაში და აწყობს თავის საკუთარ ორგანიზაციებს, რომლებიც უფრო სინამდვილით გამოხატავენ მათ კლასიურ ინტერესებს. სამი ივნისის აქტი იყო რეაქციის გაბატონების დავვირგვინება, ეს აქტი გამოხატავს შავრაზმული თავადაზნაურობის მსხვილი ბურჟუაზიის შეკავშირებას სახელმწიფო დუმის საფუძველზე ძველ ბიუროკრატიასთან. როგორი იყო ჩვენი ტაქტიკა დღევანდლამდე? ჩვენ წინეთ, განაგრძობს მომხსენებელი, გვაინტერესებდა მხოლოთ რევოლიუციონური გამოსვლები, ჩვენი ტაქტიკა იყომხოლოთ ამ რევოლიუციონურ გამოსვლების ტაქტიკა. ჩვენ მხოლოთ ამ გავოსვლებისათვის ვემზადებოდით. ჩვენ ვფიქრობ დით მებრძოლ დრუჟინებზე, შეიარაღებულ აჯანყებაზე, ბარიკადებზე და სხ. ნამდვილი ს. დ.-ული ტაქტიკა, პროლეტარიატის კლასიური თვით შეგნების გაღვივება და ორგანიზაციულათ შეკავშირება მივიწყებული გვქონდა. რას მივაღწიეთ ჩვენ ჩვენი თავგანწირული ბრძოლით? პროლეტარიატმა თავის სისხლით გაბატონება არგუნა რეაქციონურ კლასებს, დააჩქარა მათი შეერთება—შეკავშირება თვითმპყრობელობასთან. პროლეტაჯიატის გევემონიამ პირველ პერიოდში მოგვიტანა რეაქციონური კლასების გეგემონია მეორე პერაოდში. როგორი უნდა იყოს დღეს ს. დ. ტაქტიკა? ყოვლის უწინარეს პროლეტარიატი სამუდამოთ უნდა გამოესალმოს ამ რევოლიუციაში თავის გეგემონიაზე ოცნებობას. თუ დღევანდლამდე ეს შესაძლებელი იყო, დღეის იქით ეს შეუძლებელია. ამის მიზეზია რუსეთის ბურჟუაზიის გათვითცნობიერება და პროლეტარიატის ოპეკისაგან თავის დახწევა. რევოლიუცია გაიმარჯვებს, ამბობს მომხსენებელი, მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ამ რევოლიუციის მეთაურათ გამოვა თვითონ ბურჟუაზია და არა პლოლეტარიატი, როგორც ეს წინეთ იყო. პროლეტარიატის მეთაურობა შემდეგში მოასწავებს ამ რევოლიუციის დამარცხებას. დღეს ჩვენ უნდა შევიმუშაოთ წმინდა ევროპიული ტაქტიკა. პროლეტარიატი უნდა მიდიოდეს თავის საკუთარი გზით სოციალიზმის განხოვციელებამდე. ჩვენი მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს მუდმივ სოციალისტურ პროპაგანდაში და ორგანიზაციაში. ამისათვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყოველგვარი ლეგალური დაწესებულებანი, როგორიც არის სახელმწიფო დუმა, ადგილობრივი თვითმმართველობები, პროფესიონალური კავშირები, კოოპერატივები, განმანათლე-

ბელი საზოგადოებები და სხვ. ჩვენი ტაქტიკა სრულიათ არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, მოხდება თუ არა რევოლიუციონური გამოსვლებიო. ბურჟუაზიამ თვითონ აწარმოვოს თავის საკუთარი რევოლიუცია, ჩვენ — ჩვენი პროლეტარული საქმე უნდა ვაწარმოვოთო, ათავებს მომხსენებელი.

მომხსენებელს მენშევიკს უპასუხეს თითო-ოროლა მენშევიკმა და ბოლშევიკმა. მენშევიკები შეეცადენ მოხსენების ზოგიერთ მოსაზრებათა გაკრიტიკებას, მარა ეს კრიტიკა ისეთი მკრთალი, გაუბედავი და ბუნდოვანი იყო, რომ სრულიათ უნაყოფოთ ჩაიარა. ბოლშევიკმა წამოაყენა შემდეგი მოსაზრებანი: რუსეთის რევოლიუცია დროებით შეჩერდა და გაგრძელება აუცილებელია, რადგანაც არც ერთი საჭირ ბოროტო კითხვა, რომლის დბდაჭრასაც მოითხოვდა რევოლიუცია, ჯერ არ გადაჭრილა. ღღეს გაბატონებული რეაქცია, მართალია ძალიან ძლიერია, მაგრამ მაინც დროებითია. ის კლასები, რომლებიც დაინტერესებული არიან რევოლიუციის სრულ გამარჯვებაში; არის პროლეტარიატი და გლეხ-კაცობა. საშუალო ბურჟუაზია დიდი ხანია ასრულებს ამ რევოლიუციის მხოლოთ მესაფლავეს როლს, იგი კონტრ-რევოლიუციონურია. თუ როდისმე შეიძლებოდა ლაპარაკი პროლეტარიატის და გლეხ-კაცობის დიქტატურაზე, აწი ეს მით უფრო აუცილებელი ხდება, რომ რევოლიუცია სრული გამარჯვებით დაგვირგვინდეს. თუ დღემდე შესაძლებელი იყო პროლეტარიატის მეთაურობა რუსეთის რევოლიუციაში (რასაც მენშევიზმი წინეთ სრულიათ უარ-ყოფდა და რასაც ეხლა უკვე ფაქტათ აღიარებს მენშევიკთა ლიდერი), მომავალში ეს მით უფრო აუცილებელია, რადგანაც მხოლოთ პროლეტარიატს აქვს ასეთი მეთაურობის უნარი.

თუ წინეთ შეიძლებოდა ლაპარაკი შეიარაღებულ აჯანყების აუცილებლობაზე თვითმპყობელობის დასანგრევათ და რესპუბლიკის დასამყარებლათ, ღღეს უფრო მეტი საბუთი გვაქვს ამის ქადაგების, რადგანაც ღღევანდელი ოქტომბრისტულ და შავრაზმულ კონტრ რევოლიუციის დამარცხება მით უფრო შეუძლებელია შეიარაღებულ ბრძოლის გარეშე. პროლეტარიატის კლასიური ინტერესები მოითხოვს რევოლიუციის გამარჯვებას და რესპუბლიკის დამყარებას, და რაგინდ ძვირათ დაუჯდეს მას ეს გამარჯვება, იგი მაინც მოგებაში დარჩება. არც ერთი კლასი არაა ისე დაინტერესებული ამ რევოლიუციის სრულ გამარჯვებაში, როგორც პროლეტარიატი, და ამიტომაც, ვერც ერთი კლასი ვერ იბრძოლებს ისე ავგანწირულათ, როგორც

პროლეტარიატი. ევროპის ს. დ. ტაქტიკის იდეალათ დასახვაზე ლაპარაკი რუსეთის დღევანდელ პირობებში სოციალდემოკრატებისათვის მავნე ოცნებაა და მეტი არაფერი: სოციალური და პოლიტიკური პირობების მხრით ევროპა და რუსეთი წარმოადგენენ ერთი მეორის მოპირდაპირე პოლიუსებს. თქვენ მენშევიკებო ფუჭად ოცნებოეთ პარტიის ლეგალიზაციაზე და ამას უფარდებთ თავის ტაქტიკასაც, რისთვისაც სრულიათ უარყოფთ რევოლიუციონურ მეთოდს ბრძოლისას. ჩვენ ვფიქრობთ პირიქით. თქვენ ლაპარაკობთ კლასიურ შეგნებაზე და ორგანიზაციაზე, მაგრამ ეს ხომ მუდმივი მიზანია ს. დ. თქვენ სრულიათ გავიწყდებათ, რომ რევოლიუციის ლროს ს. დ. ტაქტიკა დიდათ განსხვავდება მშვიდობიანი დროის ტაქტიკისაგან. მაგრამ თქვენ ერთის მხრით მართალი ხართ, როცა ფიქრობთ, რომ რუსეთის რევოლიუცია შეჩერდა არა რამდენიმე წლით, არამედ რამოდენიმე ათი წლით, თუმცა ამას აშკარათ და ნათლათ ვერ ამბობთ. ჩვენ, რასაკვირველია, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ყოველნაირი ლეგალური დაწესებულება რევოლიუციის და კლასიური თვით შეგნების გასალრმავებლათ, მარა რევოლიუციუნური ტაქტიკის გასატარებლათ აუცილებლათ საჭიროა არალეგალური და ქონსპირატიული ორგანიზაციები. ათავებს ბოლშევიკი.

სიეზდმა მიიღო რეზოლიუცია. რობელსმც საფუძვლათ დაედო პირველი მომხსენებლის სიტყვა.

(დასასრული იქმნება)

—

რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომეტეტის წერილი

ადგილობრივ ორგანიზაციების მიმართ.

დღევანდელ ვითარებაში—მოძრაობის დროებით შეჩერების დროს, პარტია მთელ თავის ძალლონეს მიმართავს მუშათა მასის შეკავშირებასა და შეგნებისაკენ.

ამ მიზნით ის ყოველგვარ საშვალებას ხმარობს: აწყობს, ამაგრებს და ავითარებს პროფ. კავშირებს, კოოპერატივებს, განმანათლებელ დაწეწებულებებს, მმართავს ფართე პოლიტიკურ აგიტაცია—პროპაგანდას და მონაწილეობას იღებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პრესისა და დუმის ს. დ. ფრაქციის საშვალებით. პარტიული მუშაობის ყველა ეს მხარეები გარკვეულ-სანმარტებულია ადრე თავის დროზე ც. კ. წერილებში ად. ორგანიზაციების მიმართ; ეჭვსა და გაუგებრობას იწ-

ვევს მხოლოთ ც. კ.-ის დუმის ს. დ. ფრაქციასთან დამოკიდებულება და ურთიერთობა.

უწინარეს ყოვლისა ამ წერილში ჩვენ უნდა ავნუსხოთ თუ რა გააკეთა ფრაქციამ და როგორ წაიყვანა მან საქმე.

თუ რა ტაკტიკას უნდა დადგომოდა ფრაქცია თავის მოღვაწეობაში, ეს თავის დროზე ნათლათ აღნიშნა პარტიულმა უკანასკნელმა კონფერენციამ, რომელმაც მისცა მას სახელმძღვაველოთ გარკვეული დირექტივები და რაც დამტკიცებული იყო თავის დროზე ც. კ. მიერ. კონფერენციის მიერ აღიარებული ტაქტიკა სავსებით შეთანხმებული იყო ლონდონის სიეზდის რეზოლიუციებთან. უწინარეს ყოვლისა ამ ტაქტიკით ფრაქციას დაევალა, რომ მან მხედველობაში უნდა იქონიოს უმთავრესათ ხალხის, განსაკუთრებით პროლეტარიატის შეკავშირება — შეგნების განვითარება. ამასთანავე პარტია, თუმცა საბოლოვო მიზანს — სოციალიზმის დამყარებას არასოდეს არ ივიწყებს, ცდილობს რევოლიუციურ — დემოკრატიულ მიზნით გამოიყენოს ფართე მასსების არსებული შეგნება ⁄ კავშირი. ამ რიგათ ფრაქცია ვალდებული იყო სახელ. დუმაში გარკვევით, სავსებით და შეუკვეცელათ წამოეყენებია ს. დ. მოთხოვნები იმ შემთხვევაშიაც კი, როცა გარეგნულათ ის სხვა პარტიასთან ერთათ ხმას აძლევდა რომელიმე საკითხის შესახებ; ვალდებული იყო აგრეთვე ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში ნათლათ გამოეხატა თავისი სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისი თავის ორატორების სიტყვებში, დეკლარაციებში და მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულებში. დასასრულ კონფერენციამ დაავალა მას რამდენიმე განსაკუთრებული „გამოსვლა", მაგალ. მას უნდა წარმოეთქვა თავისი საზოგადო დეკლარაცია მთავრობის წარმომადგენლის დეკლარაციის საპასუხოთ და უნდა შეეტანა შეკითხვა 3 ივნისის საარჩევნო კანონის შესახებ.

ეჭვი არაა, ფრიქცია ბევრ თავის გამოსვლებში მტკიცეთ იცავდა ზემოაღნიშნულ ტაქტიკას.

მარა ც. კ. არ შეუძლია, მწუხარებით არ აღნიშნოს მესამე დუმის ს. დ. ფრაქციის სხვა გვარი „გამოსვლები", რაც შეიცავდა შეცდომას, და პარტიულ ტაქტიკიდან აშკარა გადახვევას.

ც. კ. ამ წერილით აცხადებს ფრაქციის ყველა ასეთ შეცდომას და გადახვევას.

ჯველაზე მცირე შეცდომა ფრაქციისა მდგომარეობს იმა-

ში, რომ მან სახელმწიფოს დაცვის კომისიის სხდომების ხასიათზე კამათის დროს, თუმცა საკუთარი შეხედულება—აზრი ნათლათ და გაბედულათ გამოთქვა, მარა ვერ შენიშნა ქადეტების პოზიციის ყალბი მდგომარეობა და შესაფერი კრიტიკით ვერ შეეხო მას. შეცდომა მარტო ფრაქციას არ მიეწერება, აქ წილი უდევს იმ კომისიასაც, რომელიც დაარსებულია ც. კ.-სთან და ვალებდულია ხელმძღვანელობა გაუწიოს ფრაქციას.

უფრო სერიოზული იყო ის შეცდომა, რომელიც მოუვიდა ფრაქციას იმ პოლიტიკის დაფასების დროს, რომელსაც აწარმოებს მთავრობა შორეულ აღმოსავლეთში: ამ კითხვაზე ფრაქციის ორატორს არ ულაპარაკნია. დეკლარაცია კი, რომელიც მან წარადგინა, თავმჯდომარემ წინააღმდეგ კანონის ან მიიღო, რაზედაც ფრაქციამ სამართლიანი პროტესტი განაცხადა.

შემდეგ ს. დ. ფრაქციის შეცდომა გამოიჩინა ხმის მიცემაში, რომლითაც მან ხელი შეუწყო სახალხო განათლების სამინისტროს სასარგებლოთ 7 მილიონი მან. გადადებას. როდესაც ს. დ. ორატორმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა დღევანდელი შკოლური სისტემა და აღნიშნა სამინისტროს შავრაზმული პოლიტიკა სწავლა-განათლების საქმეში. ც. კ. აზრით ასეთი კრიტიკის შემდეგ ხმის მიცემის დროს ფრაქციას მოითხოვებოდა თავის შეკავება და ამ თავშეკავების სრული, ყოველმხრივი დასაბუთება.

სუსტი და შეუფერებელი იყო აგრეთვე ფრაქციის გამოსვლა სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ საერთო საზოგადო კამათის დროს: სახელმწიფოს გასავალის უკრიტიკოთ დატოვება და მთელი ხარჯთ-აღრიცხვის სოციალისტური მოტივების დაუსახელებლათ უარყოფა ფრაქციის მხრივ შეცდომით უნდა ჩაითვალოს.

დასასრულ, ც. კ.-პასუხის მგებლობას სრულიათ. ვერ იკისრებს ს. დ. ფრაქციის სახელით დუმაში წაკითხულ დეკლარაციისათვის; მართალია მოსაწონი და მისაღებია გამოსვლის თვით ფაქტი, დეკლარაციაში გამოთქმული ზოგი აზრი; მარა ლოზუნგებისა და მოთხოვნათა შეკვეცა—შემოკლება ერთიანათ ეწინააღმდეგება ს. დ. პარტიის მიერ აღიარებულ ტაქტიკას; ეს კი, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, შეგნებულათ და წინასწარ განძრახვით ნამოქმედარია მესამე დუმის ს. დ. ფრაქციის მიერ.

ამას გარდა ფრაქციას სხვა შეცდომებიც მიუძღვის თავის მოქმედებაში. მაგალ. ფრაქციის ერთმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო დუმის საერთო ოპოზიციის თათბირში, რასაც პოლონელი "ნაროდოვცები" და „მშვიდობიან განახლების" პარტიის წევრნი დაესწრენ. ც. კ.-ას გადაწყვეტილებით ფრაქციას საერთო ოპოზიციის კრებებზე ცნობების მისაღებათ შეუძლია გაგზავნოს. მხოლოთ ორი-სამი კაცისგან შემდგარი დელეგაცია.

ფრაქციის შეცდომათ ჩაითვლება აგრეთვე ის, რომ მან გადაწყვიტა დუმის პრეზიდიუმის არჩევის დროს ხმა მიეცა „მშვიდობიან განახლების" პარტიის წევრისთვის, მარა, როცა ც. კ. ამის წინააღმდეგ წავიდა, ეს შეცდომაც ფრაქციამ მალე გაასწორა.

აი ყველა ის შეცდომები, რომლებიც დღემდე ფრაქციას მოუვიდა და რაიც თავის დროზე ბოლოს და ბოლოს ც. კ. სთან შეთანხმებით შესწორეული იქნა; ც. კ. აზრით საჭიროა აგრეთვე მთელმა პარტიამ იცოდეს არა მარტო ის, თუ რა გააკეთა და რაში შეცდა ფრაქცია, არამედ ისიც, თუ რა უნდა გაეკეთებია და ვერ გააკეთა.

კონფერენციისაგან ფრაქციას დავალებული ქონდა: 'შეკითხვა შეეტანა სახელმწ. დუმაში 3 ივნისის საარჩევნო კანონის შესახებ (სახელმწიფოებრივ გადატრიალებაზე), მარა კანონის ძალით შეკითხვა რომ შედგეს, ამისთვის საჭიროა ხელი მოაწეროს მაზე 30 დეპუტატმა; ფრაქცია კი სულ შედგება 19 კაცისგან. ბევრი ეცადა ფრაქცია სხვა ოპოზიციონურ დეპუტატებში მოეძებნა ხელის მომწერი (ტრუდ. კ. დ. და სხვ.), მარა ვერც ერთ ბურჟუაზიულ პარტიის ვერც ერთმა წევრმა ვერ გაბედა აშკარათ წინააღმდეგობა გაეწია ბ. სტოლიპინისთვის და შეკითხვაზე ხელი მოეწერა. ამ შემთხვევაში, მართალია ფრაქციამ ვერ შესძლო საქმის გაკეთება, მარა მან ღირსეულათ შეასრულა თავის მოვალეობა.

იყო მეორე ასეთი შემთხვევაც. ფრაქციას უნდა შეეტანა შეკითხვა ნოვოროსიის გენერალ-გუბენატორ პრჟევალსკის შესახებ, რომელმაც პორტის მუშებს პასტორტები ჩამოართვა ღა მის ნაცვლათ ნომრებით და პატრეტებით შემკული კვიტანციები დაურიგა, რომ მუშებს ისინი ქუდზე მიკრული ეტარებიათ. ფრაქციამ ამ შეკითხვაზე თუმცა 30-ზე მეტი ხელმომწერი იშოვა, მარა მას ხელთ არ ქონდა ის წერილობითი

საბუთი—გუბერნატორის დაბეჭდილი განკარგულება,—რასაც აუცილებლათ მოითხოვდა როგორც შეკითხვების კომისია, ისე მთელი დუმა; ამიტომ, თუმცა მას ამ ფაქტის შესახებ სარწმუნო კერძო წერილი ქონდა ხელთ, უკან წამოიღო თავის შეკითხვა და უყურადღებოთ დატოვა, რაც ც. კ. აზრით შეცდომას წარმოადგენს. საჭირო იყო ამ შეკითხვის ყოველ შემთხვევაში დუმისთვის წარდგენა და თუ დუმა უარჰყოფდა მას, ამით ის ერთხელ კიდევ გამოაშკარავებდა, რომ-ის მთავრობის დამცველია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღემდე ფრაქციას დუმაში არც ერთი კანონ პროექტი არ წარუდგენია. მეტათ სამწუხარო და არა სასურველი ფაქტია, მარა აქაც დამაბრკოლებელი მიზეზი გარეშე პირობებია: უმთავრესად ტეხნიკური. კანონ-პროექტის შემუშავება დღევანდელ პირობებში, ეს მეტათ სამძიმო და რთული საქმეა—განსაკუთრებით ახსნა—განმარტების წერილის შედგენა.

ფრაქციასთან დაარსებული მომამზადებელი კომისია უკვე ამუშავებს რამდენიმე კანონ-პროექტს მუშათა საქმის, აგრარულ კითხვის და თვითმმართველობის შესახებ. გაფიცვის შესახებ ფრაქციას უკვე შემდგარი აქვს კანონპროექტი და შედგენილია განმამარტებელი წერილის ერთი ნაწილიც: საზოგადოთ შემმუშავებელი კომისია საჭირო ძალების დიდ ნაკლებობას გრძნობს; და ეს მით უფრო საგრძნობელია ჩვენი ფრაქციისთვის, რომ მას უხდება ისეთი კანონ-პროექტების შემუშავება, რომლებიც დაფუძნებულნი უნდა იქნენ სრულიათ ახალ საფუძველზე და პრინციპებზე, რომელთა დასასაბუთებლათ საჭიროა ულრმესი და უძლიერესი მეცნიერული აპარატი. მიუხედავათ ასეთ დაბრკოლებისა ფრაქციას იმედი აქვს, რომ მალე წარუდგენს დუმას. საკუთარ კანონ-პროექტს. განმმარტებელი წერილით დასაბუთებულს.

აი ყველაფერი ის, რის დასახელებაც კი შეუძლია. ც. კ. ფრაქციის შესახებ. ც. კ.-ს საჭიროთ მიაჩნია პარტიის წევრებმა იცოდენ, რა გააკეთა, ან რა არ გააკეთა და ან რა შეცდომა ჩაიდინა ფრაქციამ. მისი შეცდომები მხოლოთ კერძო და გამონაკლი იყო, საზოგადოთ კი ის თავის გამოსვლებში იცავს პარტიულ ტაქტიკას და მოვალეობას, რაც მეტათ გაძნელებული და ზოგჯერ მოუხერხებელიცაა მრავალ გვარ გარეშე პირობებისა გამო.

მითხედავათ ასეთი სიძნელისა, ფრაქცია წინ მიდის და

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ კვლავაც წინ ივლის: ის მტკიცეთ შეასრულებს თავის მოწოდება-დანიშნულებას.

ამიტომ სრულიათ უსაფუძვლოთ და უდროოთ მიაჩნია ც. კ—ს ის აზრი, უკვე ორიოდე პარტიულ ორგანიზაციაში აღძრული, თითქოს საჭირო იყოს ფრაქციის მესამე დუმიდან გამოწვევა. სოციალ-დემოკრატიამ არ იცის და არც ცნობს იგი, რომ არსებობდეს პოლიტიკური ბრძოლის, ერთათ-ერთი და მხოლოთ განსაკუთრებული თალისმა-საშუალება.

სოც.-დემოკრ. სარგებლობს ყველა გზით და საშუალებით პროლეტარიატის ინტერესებისათვის. და აი მესამე დუმაც ერთი ამ საშვალებათაგანია. მისი არსებობა განსაკუთრებული სიცხადით ააშკარავებს თვითმპყრობელობის შემმაგრებელ სოციალურ ბურჯებს და იმ გარემოებას რომ, დღევანდელი მთავრობა, ეს კომიტეტია თავად-აზნაურობის და მტაცებელ ბურჟუაზიის. ს. დ. დუმის ტრიბუნიდან ნათლათ უხატავს ხალხს ამ ჭეშმარიტებას და ახდენს აგიტაციას, რაც მეტათ საჭიროა მასის შეკავშირებისა და შეგნების გინვითარებისათვის.

ც. კ.

—

პარტიის ცხოვრებიდან.

გამარჯვებული კონტრ-რევოლიუცია, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებით თავს დაატყდა პროლეტარიატს და მის პარტიას—სოციალ-დემოკრატიას. წაართვა მას ყოველგვარი საშვალება აშკარა ბრძოლისა და აიძულა იგი კვლავ შედგომოდა ფარულ მოქმედებას.

მთავრობის რეაქციის გაძლიერებასთან ერთათ გაძლიერდა რეაქცია ხაზეინებისა. კაპიტალისტებს თან და თან უკან მიაქვთ რევოლიუციის დროს მოპოებული გაუმჯობესებანი: ადიდებენ ჩამუშაო დღეს შემოაქვთ ზედმეტი მუშაობა, კრძალვენ ყოველგვარ კრებებს ქარხნებსა და ფაბრიკებში, ითხოვენ შეგნებულ მუშებს და სხვ.

ამავე კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებამ გული გაუტეხა სოციალ-დემოკრატიულ ინტელიგენციას და პარტიის ჩამოაშორა იგი. პეტერბურგში, ამ ინტელიგენციის ცენტრში, ამას წინეთ არჩეულ იქმნა კომიტეტი თითქმის სულ მთლათ მუშებისაგან. ივანო ვაზნესენსკში კონფერენცია და კომიტეტი სულ მთლათ მუშებისაგან შესდგება, მუშები არიან ამავე ორგანიზაციაში. პროპაგანდისტებათ დაბალსა და საშუალო

წრეებში. ასევეა ყირიმის კავშირის ორგანიზაციებში, ურალში და სხვაგან. ინტელიგენტები გაექცენ პარტიას და მმნაირათ მუშები იძულებული ხდებიან მთელი პარტიული აუშაობა: ორგანიზაციული, ლიტერატურულიც კი, პროპაგანდა—აგიტაცია და სხვ. თვითონ იკისრონ

ერთი მხრივ, მთავრობისა და კაპიტალისტების მიერ სასტიკმა დევნამ და შევიწროვებამ, ხოლო მეორე მხრივ, ინტელიგენციის გაქცევამ თავისი დალი დაასვა პარტიის ცხოვრებას: მუშაობა ორგანიზაციებში შეფერხდა, პარტიის წევრთა რიცხვმა იკლო, ზოგ ადგილას ორგანიზაციები სრულიათ დაინგრა.

მაგრამ პარტია მალე თავს აღწევს ამ კრიზისს, ის ეგუება ახალ პირობებს. დღეს ყოველ კუთხიდან იწერებიან: მუშაობა ახლდება, ორგანიზაციები ისევ შენდება და ძლიერდება, პარტიის წევრთა რიცხვს დღითი-დღე ემატება, გავლენა მუშათა მასაზე შესამჩნევათ იზრდება და პარტია კვლავ სათავეში უდგია პროლეტარიატის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ძრძოლასო.

მუშაობა ისევ ახლდება იწერებიან ივანოვაზნესენკიდან. ორგანიზაციები შენდება, დარჩენილი ამხანაგები ისევ იკრიბებიან და აღგენენ ახალ-ახალ ძირითად ორგანიზაციებს, ამ ჟამათ აქ ითვლება 600-მდე პარტიის წევრიო. ნიჟნი-ნოვგოროდიდან, ნიეგოროდის საოლქო ორგანიზაციიდან, იაროსლავიდან და ბევრ სხვა ადგილებიდან იუწყებიან: გასულ წელს ორგანიზაციები თითქმის მთელათ დაინგრა, მაგრამ დღეს მუშაობა ახლდება და ორგანიზაციები დიდის სისწრაფით იზრდებიანო. ყირიმის კავშირი კარგა ხანია ფაქტიურათ აღარ არსებობს, სწერენ იქიდან, დრო იყო, რომ ვფიქრობდი, სულ ისპობა ორგანიზაციებიო, მაგრამ დღეს მუშაობა კვლავ განახლდა, ორგანიზაციები ფეხზე დგება, საჩქაროთ ერთმანეთს უკავშირდება და ჩქარა ყირიმის კავშირიც განახლდებაო. პეტერბურგში, სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, სამი ათასამდე აქტიურათ მომქმედი წევრი იქნება ორგანიზაციაში, განახლდა მუშაობა წრეებში, ზოგიერთ რაიონში, ათობით ითვლება წრე, კავშირდებიან მრავალ რიცხვოვანი ხელოსნები და მოლაპარაკება აქვთ კომიტეტთან; ძლიერია პარტიის გავლენა მუშათა მასაზე, რასაც მოწმობს, სხვათა შორის, 22 ნოემბერს მომხთარი გაფიცვა, რომელიც გატარებულ იქმნა წინააღმდეგ ესერებისა და ნაწილ. მენშევიკებისა.

(როგორც ვიცით 22 ნოემბერს-მეორე დუმის სოც. დემ. ფრაქციის გასამართლების დღეს პროტესტის ნიშნათ გაიფიცა პეტერბურგში 75 ათასამდე მუშა).

ურალში, ამ უდიდეს სამრეწველო ცენტრში, საერთოთ პარტიის წევრთა რიცხვს ცოტათი დაუკლია, მარა მუშაობა ძლიერი ყოფილა და არის დღესაც. მაგ. მთელ ურალის რაიონში არსებობს 11 არა ლეგალური სტამბა. ამათგან მარტო უფის სტამბას დაუბეჭდია წლის განმავლობაში ნახევარი მილიონ მაწოდება, გაზეთი და წიგნაკები. ურალის რაიონში სხვა და სხვა ალაგას გამოდის ათამდე ნებადაურთველი გაზეთი, სხვათა-შორის, გლეხებასათვის და სალდათებისათვის ცალ-ცალკე სპეციალური გაზეთი. უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში პარტიის გავლენა მუშათა მასაზე სულ უფრო და უფრო მატულობდა, სწერს კორესპონდენტი. კარგათ მიდის აგრეთვე მუშაობა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციებში, როგორც აპრილში მომხთარ კონფერენციის ანგარიშებიდან ვგებულობთ.

მიუხედავათ საშინელი რეპრესიებისა, ვკითხულობთ ანგარიშში, ორგანიზაციები მხოლოთ ცოტათი შესუსტდენ, მაგრამ პარტიული მუშაობა ჩვეულებრივის ენერგიით სწარმოებს და პარტიის გავლენა მასსაზე ძლიერია. ვარშავაში, მაგალითად, 1 აგვისტოდან 1 მარტამდე მომხდარა 279 სამაცადინოკრება, 19 კონფერენცია, 97 მასოვკა (რომელსაც დასწრებია 7860 კაცი) ამ ჟამათ. 108 საწარმოვო დაწესებულებაში ითვლება 2787 პარტიის წევრი. ბაქოში, როგორც გასულ თვეებში მომხდარ კავკასიის სიეზდის ანგარიშიდან სჩანს ორგანიზაცია გაზრდილა. საერთოთ მიუხედავათ საშინელი რეაქციისა, ყველა დიდ სამრეწველო ცენტრების პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ დგას და დიდი გავლენაც აქვს პროლეტარულ მასაზე ხოლო წვრილ სამეწველო რაიონებში დროებით შესუსტებულა და დღეს ისევ ძლიერდება.

ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო: თუ ინტელიგენციის გასვლამ პარტიიდან, ერთის მხრით, დროებით შეასუსტა ორგანიზაციები, სამაგიეროთ ინტელიგენციის გაშორებით პარტია იწმინდება ყოველგვარ რყევისა და ოპურტიუნიზმისაგან. ინტელიგენციასთან ერთათ პარტიას შორდება მენშევიზმიც და მის ადგილს იჭერს რევოლიუციონური სოც. დემოკრატია ანუ ბოლშევიზმი. დღეს მთელ რუსეთს დაივლით და სერიოზულ მენშევიკურ მუშათა ორგანიზაციას, გარდა თფი-

ლისისა ველარსად შეხვდებით, თუმცა ამ უკანასკნელის სერიოზობაც ძალიან საეჭვოა. როგორც ვიცით, რუსეთში მენშევიკური ორგანიზაციები ძლიერი იყვენ მხოლოთ წვრილ სამრეწველო რაიონებში, მაგრამ დღეს ასეთ რაიონებში ძველი ორგანიზაციები თითქმის ყოველგან დაინგრა, მაგ. ყირიმის კავშირი და სხვ. და მის ადგილას შენდება თვით მუშების მიერ ბოლშევიკური ორგანიზაციები: ხოლო მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, მენშევიკები ან სრულიათ არ იყვენ, მაგ., ურალში, ივანოვაზნესენსკში და სხვ. ან ძლიერ სუსტნი იყვენ. მაგ., პეტერბურგში. დღეს ასეთი ცენტრებიც სრულიათ იწმინდება მენშევიკებისაგან. პეტერბურგიდან იწერებიან, მენშევიკები პარტიიდან ჯერ გადავიდენ პრ. კავშირებში, მერმე აქედან კოოპერატივებში, ხოლო უკანასკნელიდან ბევრი მათგანი უფრო შორსატ მიიბარგებიანო.

აშკარაა, რომ მენშევიზმის გაძლიერებას პარტიაში ხელს უწყობდა ინტელიგენცია და მის წასვლასთან ერთად მენშევიზმიც სრულიად მისუსტდა.

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია, ადგილობრივი ამხანაგების საყურადღებოთ აღვნიშნოთ შემდეგი მოვლენა: ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის წევრებმა თითქმის არაფერი არ იციან თავისივე პარტიის ცხოვრებისა. ბევრმა, აქაურმა ამხანაგმა არც კი იცის, რუსეთში არსებობს ამ ჟამათ რაიმე ორგანიზაცია, თუ არა. აშკარაა, რომ ასეთი უვიცობის მთავარი მიზეზი ფრაქციული მტრობა და შურიანობა. როგორც ზემოთ დავინახეთ, პარტიის ცხოვრება დღეს მთელ რუსეთში ზეიცავს სხვათა შორის მენშევიკურ მიმდინარეობის დამარცხებას და ბალშევიზმის გამარჯვებას. პარტიის ცხოვრების გაძლიერება ნიშნავს, აი, ამ სინამდვილის დანახვასაც და ამიტომ ჩვენი ხელმძღვანელი ორგანიზაციები საოლქო კომიტეტი, ჩითფილისის კოლექტივი და სხვ გვიმალვენ ამ სინამდვილეს. ფრაქციული მტრობა იქნამდე მიდის. რომ ადგილობრივ ენებზე ლონდონის პარტიული სიეზდის რეზოლიუციებიც კი არ გამოსცეს და ბესამე დუმის პარტიული საარჩევნო პლატფორმაც კი არ გაგვაცნეს; არ დაუბეჭდიათ აგრეთვე პარტიის ცენ. კომიტეტის მიერ გამოცემული რეზოლიუციები პროფესიონალურ კავშირებისა და კოოპერაციების შესახებ, არ გადმობეჭდეს ც. კ. მოწოდება პირველი მაისისათვის და საზოგადოთ არც ერთი ც. კ. წერილი ორგანიზაციების მიმართ. ასე იქცევა ჩვენი ხელმძღვანელი ორგანიზაციები და ამავე დროს გასავალს აძლევენ სხვა და სხვა ჭორებს, მაგ. რუსეთში პარ-

ტიული ორგანიზიციები გაქრა და მარტო თფილისში-ღა არსებობსო და სხვა.

საჭიროა, თვით მუშებმა მიაქციონ ყურადღება ასეთ არანორმალურ მოვლენებს და თავიდან აიცილონ იგი.

—

პირველი რაიონი. (თფილისი). ფრაქციული პოლიტიკა მენშევიკებისა იქნამდე მივიდა, რომ პირველი რაიონის ბოლშევიკებიიძულებულნი გახდენ პროტესტი გამოეცხადებინათ ორგანიზაციისათვის. მასთანვე წამოაყენეს რამოდენიმე მოთხოვნა, რომლის შესრულებამდე შეაჩერეს საწევრო პარტიული გადასახადი. სხვათა შორის, ითხოვდენ, 1) რომ ბოლშევიკ მუშებისათვის აეყვანათ ორი ბოლშევიკი პროპაგანდისტი, 2) რომ პერიოდულ გამოცემებში ბიანასწორი მონაწილეობა მიეღოთ ორივე ფრაქციის წარმოაადგენელთ. დიდის ყოყმანის შემდეგ მენშევიკები დაადგენ დათმობის გზას და მოახდინეს შეთანხმება, რომლის ძალითაც, პირველ რაიონში სამი პროპაგანდისტიდან ერთი უსათუოთ ბოლშევიკი უნდა იქნას აყვანილი.

—

რკინის გზის სახელოსნოში არსებობს მუშების მიერ არჩეული კომისია, რომელიც შუამავლობას სწევს მუშებსა და ადმინისტრაციას შორის, ოგრამ კომისია უფრო ადმინისტრაციის სიამოვნებას სცდილობს, ვინემ მუშების ინტერესების დაცვას. ამ კომისიის ერთმა მოქმედებამ, ხომ მთლათ ალელვა მუშები: პირველ მაისს, სახელოსნოს დაარსების წლის თავზე კომისია წავიდა მისალოცათ უფროსებთან, რომლებმაც სიამოვნებით მიიღო ისინი და ბიბატიჟეს ნადიმზედაც. და რა ვნახეთ, მუშების არჩეულები შავ-რაზმელებთან ერთათ შეექცევიან ქეიფს და მიირთევენ შავ-რაზმელთა სადღერძელოებს. მიუხედავათ ამისა, პირველი რაიონის მენშევიკები გზათა მინისტრის მოსვლისას აგზავნენ; მივმართოთ ამ კომისიას, რომ მან მივიდეს მინისტრთან და სთხოვოს, მიიღოს სამუშაოზე უმუშაოთ დარჩენილები, აოუმატოს სამუშაო ხელფასი და სხ.

ნეტა ვიცოდეთ, სად გაქრენ მენშევიკების მყვირალა ფრიზები მუშების პოლიტიკურ აღზრდისა და თვით განვითარების შესახებ? ნუ თუ შავრაზმელების წინაშე თავის მოხრა და მათთან ქეიფი მუშების თვით განვითარებას მოასწავებს? ისინიც იტყვიან, სოციალ-დემოკრატები ვართო!